ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 იანვარი, კვირა, 1990 წ.
№ 4 (10 173) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ დილით, თბილისში... ა. კოტორაშვილის ფოტო.

„ლელო“ — ფიფა-ს ——— ფიფა— „ლელოს“

პასუხი მიღებულია

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ ჩვენმა რედაქციამ ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა სახელით ტელექსით მიმართა ფიფა-ს შტაბინას. ვთხოვეთ ეპასუხათ, შეიძლება თუ არა, რომ საქართველო, როგორც სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკა, გაერთიანდეს ამ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციის რიგებში.

იმავე დღეს, 3 იანვარს ფიფა-დან მოვიდა ჩვენი შეკითხვის შტაბბინაში მიღების დასტური.

5 იანვარს, დღის მეორე ნახევარში, თბილისის ტელეგრაფიდან დაგვირეკეს, რომ ფიფა-დან მიღებულია ჩვენი შეკითხვის პასუხი. აქვე გთავაზობთ ამ პასუხის დედანს და მის ქართულ თარგმანს.

```
05·16 28+
212912 PTB SU
816298 FIF CH
RELELD.TLX  TELEX FROM: FIFA. CH-ZUERICH  5-JAN-90 14:26

MZR/SC

ATT. T. GACHECHILADZE, EDITOR NEWSPAPER ''LELO''
     PRESIDENT OF GEORGIAN SPORTSWRITER'S ASSOC.

WE ACKNOWLEDGE RECEIPT OF YOUR TELEX OF 3.1.1990.

AS REGARDS YOUR QUESTION, WE CAN INFORM YOU THAT ACCOR-
DING TO THE FIFA STATUTES (ART.1 PARAGR.1), A REPUBLIC
LIKE GEORGIA HAS NO RIGHT TO BECOME A MEMBER OF FIFA.

WE HOPE TO HAVE BEEN OF SERVICE TO YOU.

KIND REGARDS.

J.S. BLATTER
FIFA GENERAL SECRETARY
*
212912 PTB SU
816298 FIF CH
```

ბატონ თ. გაჩეჩილაძეს, გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს,

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდენტს

თქვენი ტელექსის 3.1.1990 წ. პასუხად გაცნობებთ, რომ თანახმად ფიფა-ს სტატუსისა (მუხლი 1, პარაგრაფი 1), ისეთ რესპუბლიკას, როგორიც საქართველოა, არა აქვს უფლება გახდეს ფიფა-ს წევრი.

ვიმედოვნებთ, გარკვეული სამსახური გაგიწიეთ.

კეთილი სურვილებით
იოზეფ ბლატერი,
ფიფა-ს გენერალური მდივანი.

დღეს გვეძლევა შესაძლებლობა აქვე გაგაცნოთ ფიფა-ს წესდების ის მუხლი, რომელსაც ეყრდნობა იოზეფ ბლატერის პასუხი.

იხ. მე-2 გვ.

„ბურევესტნიკი“... ეძებს სახელს

რედაქციას თხოვნით მომართა საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ: „თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდმა გადაწყვიტა შეიცვალოს სახელი. გთხოვთ მიმართოთ ქართული სპორტის გულშემატკივრებს, თქვენს მკითხველებს დაგვეხმარონ მოხდენილი, ქართული სახელის შერჩევაში.“

რომელი გუნდი იქნება შემდეგი? ჯერ ხომ კვლავ ბევრი ქართული სპორტული კოლექტივი ატარებს შეუფერებელ სახელს.

ბანკის მუშაკების თხოვნიდ

ფონდების ანგარიშზე ფულის გადარიცხვისას ან შეტანისას აუცილებელია უჩვენოთ ცხრანიშნა ციფრი (ოპერაცია ტარდება სპეციალურ აპარატებზე). შეგახსენებთ: სიჯანსაღისა და სპორტის ანგარიშის ნომერია 000700367 — „ბინსოცბანკის“ თბილისის საოპერაციო სამმართველო; „ბაკურიანი-98“-ისა — 000700545 — „ბინსოცბანკის“ რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო; საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა — 000700608 — „მრეწველობინბანკის“ თბილისის საოპერაციო სამმართველო.

?! ძველებური სტილით

ვგეგმავთ და ვგეგმავთ...

თბილისის № 3 ექსპერიმენტულ საშუალო სკოლას, სადაც უნდა ჩატარებულიყო შეხვედრები მინიფეხბურთში, დანიშნულ დროს ვეწვიეთ, მაგრამ სკოლაში მასწავლებლები და მოსწავლეები კი არა, დარაჯიც არ იყო. კარები საიმედოდ იყო ჩარაზული. უშედეგო ლოდინის შემდეგ (ვიმედოვნებდით, იქნებ ვინმე გამოჩენილიყო), 43-ე სკოლას ვეწვიეთ, სადაც ტენგმა-გრაფიკის მიხედვით შეჯიბრებები უნდა გამართულიყო სპორტის ხუთ (!) სახეობაში: მინიფეხბურთში, კალათბურთში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში. ცოტა ადრე მოგვიხდა მისვლა და ფიზკულტურის მასწავლებელს გავესაუბრეთ, რომელიც გასული წლის ოქტომბრიდან მუშაობს ამ სკოლაში. „ბავშვები გაფრთხილებულები არიან, უნდა მოვიდნენ“ — გვითხრა მან. შეჯიბრებების გეგმაც ჰქონდათ, მაგრამ... ამჯერადაც ფუჭი გამოდგა ჩვენი და მასწავლებლის ლოდინი...

ნუთუ მართლა, მხოლოდ ღონისძიებების დაგეგმვით ამოიწურება თბილისის სპორტკომიტეტისა და განათლების სამმართველოს, თბილისის რაიონების სპორტსკოლების მუშაობა?

სსრ კავშირის პირველობა და ჩემპიონატი კალათბურთში

მეორე ნახევრის სტარტზე

უკვე კარგა ხანია, რაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა კოლექტივი არ ყოფილა ასეთ ხელსაყრელ მდგომარეობაში. პირველი ლიგის საკავშირო პირველობის სატურნირო ცხრილში იგი რიგის ტტტ-სთან ერთად პირველ ადგილს იყოფს (22 თამაშის შემდეგ ორივე გუნდს 17-17 გამარჯვება აქვს მოპოვებული). მართალია, წინ ჯერ კიდევ მესამე და მეოთხე წრის შეხვედრებია, მაგრამ თბილისელთა დღევანდელი მდგომარეობა ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. სწორედ ამის გამო დავინტერესდით იმით, თუ რა მდგომარეობაა უმაღლესი ლიგის ქალთა ტურნირში, რომლის მეორე ნახევარი დღეს განახლდება.

გათამაშების ცხრილი

„ელექტრო.“ (ლდ.)	22	16	6	38
ცსკა	22	14	8	36
„კიბირკშ.“ (ვილნ.)	22	13	9	35
„დინ.“ (ნოვოს.)	22	13	9	35
„დინ.“ (ვოლგოგ.)	22	12	10	34
„უნივ.“ (ალმა-ათა)	22	12	10	34
„მოლდოვა“ (კიშ.)	22	11	11	33
„სპარტ.“ (მ. ოლ.)	21	9	12	30
„ჰორიზონტი“ (მინ.)	22	8	14	30
„დინამო“ (მ.)	22	8	14	30
„ადიხი“ (აბოვ.)	20	8	12	28
„დინამო“ (კიევი)	21	6	15	27

რამდენიმე სიტყვა ვაჟთა ჩემპიონატზეც. გუშინ, როგორც ცნობილია, განახლდა ჩემპიონატის მეორე ნახევარი. მინსკში ადგილობრივმა რტი-მ კაუნასის „ჟალგირისს“ უმასპინძლა, ლენინგრადის „სპარტაკმა“ კი გათამაშების ლიდერი ცსკა მიიღო. დღეს და ხვალ თბილისში, ვერის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ადგილობრივი „დინამო“ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ალმა-ათის ასკ-ს შეხვდება (შეგახსენებთ, რომ ძირითადი შემადგენლობების მატჩი დაიწყება 18 საათსა და 30 წუთზე, დუბლიორებისა — 20 საათზე).

რა მდგომარეობაა სატურნირო ცხრილში პირველი ნახევრის შემდეგ?

ცსკა	21	20	1	41
ვეფ (რიგა)	22	13	9	35
ასკ (ალმა-ათა)	20	14	6	34
„დინამო“ (მოსკ.)	20	13	7	33
„ბუდიველ.“ (კ.)	20	12	8	32
„კალევი“ (ტალ.)	21	11	10	32
რტი (მინსკი)	22	9	13	31
„ჟალგირ.“ (კაუნ.)	21	9	12	30
„სპარტ.“ (ლენ.)	22	8	14	30
„შახტ.“ (დონ.)	22	7	15	29
„დინამო“ (თბ.)	19	8	11	27
„სტატიბა“ (ვილნ.)	22	2	20	24





„არგო“ — წყალბურთელთათვის

ამ დღეს რუსთაველი ცურვისა და წყალბურთის მოყვარულები დიდხანს, თითქმის რვა წელიწადს — ელოდნენ. და აი. საახალწლოდ 162-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ტერიტორიაზე საზეიმოდ გაიხსნა „ავტოვაზაგრეგატხალიბის“ საცურაო აუზი „არგო“.

აუზი საგანგებოდ წყალბურთის მოედნის ზომებითაა აგებული. აქვეა „საჭუმპალაო“ პატარებისთვის.

აუზს აქვს 350-ადგილიანი ტრიბუნები.

იგი რუსთავში მესამეა მეტალურგიული ქარხანა „თოლიასა“ და საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ აუზების შემდეგ, მაგრამ, როგორც ვთქვით, „არგო“ წყალბურთისთვისაა აგებული.

აუზის საზეიმო გახსნის ცერემონიალში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ აგრეთვე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები სინქრონულ ცურვაში, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორები ეკა ჯათიანი და ტატიანა გუტიაკულოვა.

რაღა თქმა უნდა, შეკრებილთ თავიანთი ოსტატობა უჩვენეს თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრებმა და თბილისის განათლების სამმართველოსა და რუსთავის ნაკრები გუნდების წყალბურთელებმაც. მოცურავეთა ესტაფეტაში ჩაებნენ „ხალიბის“ ფიზკულტურელები.

ზეიმის შემდეგ გავესაუბრეთ რუსთავში წყალბურთის გუნდის ერთ-ერთ დამაარსებელსა და მწვრთნელს აკაკი თავდიშვილს, თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს გივი ჩიქვანაიას და საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს ჯიმშერ თორთლაძეს

აკაკი თავდიშვილი: „თოლიასა“ და „აზოტის“ საცურაო აუზებში ვვარჯიშობდით, მაგრამ მათი ბაზები წყალბურთში სავარჯიშოდ უვარგისია. მართალია, ჩვენს გუნდს გარკვეული მიღწევები ჰქონდა, მაგრამ დიდ აუზში თამაში გვიძნელდებოდა. ახლა აუზის პრობლემა აღარ არის.

გივი ჩიქვანაია: უწინარეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნოდარ კურტანიძის წვლილი და მონდომება, რათა აქ აშენებულიყო ეს შესანიშნავი აუზი. თუ ახალგაზრდობა გულს დაუდებს, მალე აქ კარგი წყალბურთელები აღიზრდებიან. მწვრთნელად იმუშავებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ალმა-ათის „დინამოს“ ყოფილი უფროსი მწვრთნელი სტანისლავ პივოვაროვი, რომელიც სპეციალურად მოვიწვიეთ. დიდი სურვილი გვაქვს, რუსთავში შეიქმნას წყალბურთელთა მომზადების ცენტრი. სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით თბილისის „დინამო“ საკავშირო პირველობის ერთ ტურს აქ ჩაატარებს. აქვე გვექნება შეკრებებიც. ამაზე კარგ ბაზას ვერც ვინატრებდი, რადგან წყალბურთის სპეციალური აუზი თბილისშიც არ გაგვაჩნია

ჯიმშერ თორთლაძე: წყალბურთელთა ასეთი ზომის აუზი საბჭოთა კავშირშიც არ მეგულება. არ შევრცხვებით, თუ აქ საერთაშორისო ტურნირებსაც ჩავატარებთ, მაგრამ ერთი პატარა შენიშვნა გვაქვს მხოლოდ — განათება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. იმედი გვაქვს, რომ „ავტოვაზაგრეგატხალიბის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც ეს ბაზა ქარხნის დაარსების 20 წლისთავისთვის ააგო, ჩვენს მცირე შენიშვნას გაითვალისწინებს.

რამდენ ბაბრიკაძე,
„ლელოს“ კორ.

რუსთავი.

სურათებზე: „ავტოვაზაგრეგატხალიბის“ საცურაო აუზი „არგო“. წყალბურთელთა ჩატარებული ბატჩი.

ავტორის ფოტოები.

პასუხი მიღებულია

ფიფა: საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაცია

მუხლი 1.

წევრობა, წესდება, შტაბბინა

1. ფიფა აერთიანებს ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს, რომლებიც შედიან ფიფა-ს რიგებში, როგორც ერთადერთი ფეხბურთის მაკონტროლებელი ორგანოები თავიანთ ქვეყნებში. თითოეული ქვეყანა ფიფა-ს შემადგენლობაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასოციაციით. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო ფიფა-ში შედის 4 ეროვნული ასოციაციით: ინგლისი, ირლანდია, შოტლანდია და უელსი.

2. ფიფა-ს წევრმა ეროვნულმა ასოციაციებმა უნდა აღიარონ ერთმანეთი, როგორც ერთადერთი ფეხბურთის მაკონტროლებელი ორგანო თავიანთ ქვეყანაში.

3. ასოციაციებს, რომლებიც ჩამოყალიბდებიან დომინიონ და კოლონიურ ქვეყნებში, შეუძლიათ მათზე გაბატონებული ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის თანხმობით დაექვემდებარონ მათ, ან შეუძლიათ უშუალოდ გაერთიანდნენ ფიფა-ში.

იგივე პრინციპებით შეუძლიათ იმოქმედონ იმ ქვეყნებმა, რომლებიც იმყოფებიან პროტექტორატის ქვეშ.

გთავაზობთ განმარტებებს თუ რას ნიშნავს სიტყვები „დომინიონი“, „კოლონია“, „პროტექტორატი“.

დომინიონი (ინგლ. დომინიონ) — ბრიტანეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ინგლისის ყოფილი კოლონია (მაგ. კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია...), რომელსაც ამჟამად აქვს თვითმმართველობა.

კოლონია (ლათ. კოლონია) — ქვეყანა, რომელიც დაპყრობილია იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ და ეს უკანასკნელი ყვლეფს მას.

პროტექტორატი (ლათ. პროტექტორატე) — სახელმწიფოთა დამოკიდებულების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმა, რომელიც ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს დაიმორჩილოს უფრო სუსტი.

1990 — ცხენის წელიწადი!

თამაზ ქიქავას ფოტო.

რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ფიფა-ს პასუხი მოკლე და კონკრეტულია. მაგრამ მაინც შევეცადოთ გავავლოთ პარალელები. ფიფა ეუწერდნობა მხოლოდ წესდების პირველი მუხლის პირველ პარაგრაფს. ჩვენ კი, მოდით, შესამე პარაგრაფზეც გადავიტანოთ ყურადღება. გამოდის, რომ დომინიონ, კოლონიურ და პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყნებს გაცილებით მეტი უფლებები და შესაძლებლობები ჰქონიათ, ვიდრე კონსტიტუციურად სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკებს. და კიდევ: ვითომ ნამდვილად არსებობს დოკუმენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა იმის თაობაზე, რომ ჩვენ თავის დროზე უარი განვაცხადეთ საერთაშორისო საფეხბურთო ფედერაციებში გაერთიანებაზე და სსრ კავშირის საფეხბურთო ფედერაციას ვთხოვეთ მეურვეობა და შეკედლება? ახლა ალბათ იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ 1921 წელს საქართველოს ანექსია, რაც ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ ნამოსწია დღის წესრიგში, ოფიციალურად იქნეს აღიარებული. იქნებ მაშინ მაინც გვცნონ დომინიონი, კოლონიური ან პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყნების უფლებებში... როგორც ხედავთ, მესამე პუნქტით ფიფა არ ზღუდავს ქვეყნებს, აძლევს არჩევანის შესაძლებლობას და საკითხის გადაწყვეტას უპირველესად მაინც საშინაო საქმედ მიიჩნევს.

რას ეურდნობა ფიფა თავისი წესდების პირველ პარაგრაფში? ცხადია, იმას, რომ ჩვენ შევდივართ სსრ კავშირის შემადგენლობაში და ერთი ქვეყნიდან ფიფა-ში მხოლოდ ერთი ფედერაცია უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგრამ, საკითხავია, იციან ფიფა-ში სსრ კავშირისა და მასში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციური უფლებებისა და სუვერენიტეტის შესახებ? თუ არ იციან, ვალდებულნი ვართ ვაცნობოთ, ამაში არაფერია საძრახისი.

მაშ ახე, ამ ეტაპზე ფიფა-ს პოზიცია მკაფიოდაა გარკვეული. ახლა ჩვენთვისაც, ახე თუ ისე, უკვე გარკვეულია ამიერიდან თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებში გაერთიანების გზების ძიება.

• • •

„ლელოს“ რედაქცია მადლობას უძღვნის თბილისის ტელეგრაფის ხელმძღვანელობას (დირექტორი დავით ქავთარაძე), რომელმაც თავაზიანად მოგვცა შესაძლებლობა ტელექსის მეშვეობით ოპერატიულად დაგვმყარებინა კავშირი ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

მხატვრულ ტანვარჯიშში — მარინა სერგოვანცევას (თბილისი, შეიარაღებული ძალები);

ცურვაში — ნანა მუსიეევას (თბილისი, „შევარდენი“);

რადიოსპორტში — დიმიტრი მოსკვიტინს (თბილისი, დოსააფი);

კალათბურთში — კახა შენგელიას (თბილისი, „დინამო“);

თავისუფალ ჭიდაობაში — თემურ გავაშელიშვილს (ონი, „შევარდენი“), დავით კალმახელიძეს (თბილისი, „მართვე“), სიმონ კერვალიშვილს (ონის რ-ნი, „შევარდენი“), ელგუჯა ღუდუშაურს (თბილისი, „მართვე“);

ძიუდოში — ლელა ნებიერიძეს (თბილისი, შეიარაღებული ძალები);

აფრონსნობაში — კარინა ბაღდასაროვას (ბათუმი, „შევარდენი“);

სინქრონულ ცურვაში — ნინო ლომაურს, მაია მელაძეს, ტატიანა გუტიაკულოვას, ტატიანა მენაბდეს, ეკა ასათიანს (ყველა — თბილისი, „შევარდენი“);

მშვილდოსნობაში — ხათუნა ქვრივიშვილს (თბილისი, „მართვე“), ასმათ დიასამიძეს (ხელვაჩაური, „შევარდენი“);

ძალოსნობაში — მუხრან გოგიას (ზუგდიდის რ-ნი, „შევარდენი“);

ფარიკაობაში — დიმიტრი გოგლიჩიძეს (თბილისი, „შევარდენი“);

ფეხბურთში — ზაზა რევიშვილს, კახა გოგიჩაიშვილს, გია ჯიშკარიანს, თეიმურაზ ქეცბაიას (ყველანი — თბილისი, „დინამო“).

თვალსაზრისი — რაგბი თუ რაგბურთი?

„რაგბი“ სჯობს

ამა წლის 21 დეკემბერს „ლელოში“ გამოქვეყნდა გ. რუხაიასა და შ. პაპუაშვილის წინადადება, ბურთაობის სხვა სახეობების მსგავსად რაგბისთვის გვეწოდებინა „რაგბურთი“, მორაგბისათვის კი — „რაგბურთელი“.

ნება მიბოძეთ, გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ავტორებს გამოჩენილი ყურადღებისა და საგულისხმო წინადადების მოწოდებისათვის, იმავდროულად გაგაცნოთ საქართველოს რაგბის კავშირის მოსაზრება, რომლის თანახმადაც შემოთავაზებული ტერმინების მიღება და ქართულში დამკვიდრება სასურველი არ უნდა იყოს.

პირველ ყოვლისა, შევნიშნოთ, რომ „ფეხბურთი“, „კალათბურთი“, „მოტობურთი“ და მისთანანი შესაბამისი ევროპული სიტყვების ზუსტი, ბუნებრივი თარგმანებია და შინაარსითაც, თვალსაჩინოობის გამო, კარგად ასახავს ამ თამაშების არსს. იგივეს ვერ ვიტყვით „რაგბურთზე“, რომელიც, გადმოქართულების საერთო წესის დარღვევის გამო, ვერც ინგლისური „რაგბის“ თარგმანად ჩაითვლება და თავისთავადაც არაფრისმთქმელია. ბურთის ცხად ცნებას ძალაუნებურად რაღაც ჯადოსნურ, უცნობ, უცხო რაგთან თუ რაგბთან აკავშირებს. საქმე სხვაგვარად იქნებოდა, თამაშს ინგლისურად თუნდაც „ოვალბოლი“ რომ რქმეოდა. მაშინ ქართულში „ოვალბურთის“ (ან თუნდაც „კვერცხაბურთის“, ანაც „ნესაბურთის“) დამკვიდრებას არაფერი შეუშლიდა ხელს.

მეორეც, თავად ინგლისურად რაგბის სრული, ოფიციალური ტრადიციით განპირობებული სახელი „რაგბი ფუთბოლია“. ანალოგიური სახელები ჰქვიათ ოვალურბურთიან სხვა თამაშებსაც — „ემერიქენ ფუთბოლ“ (ამერიკულ ფეხბურთს), „ოსთრეილიენ რულზ ფუთბოლ“ (ავსტრალიურ ფეხბურთს), „გელიქ ფუთბოლ“ (გელურ ფეხბურთს; გავრცელებულია ირლანდიაში) და თვით „ევროპულ“ ფეხბურთსაც („ესოსიეიშენ ფუთბოლ“). მოგეხსენებათ, ნებისმიერ ენას სჩვევია გრძელი, ძნელადწარმოსათქმელი სახელების შეკვეცა-შემოკლება. ინგლისურში ამ პროცესის შედეგადაა მიღებული „რაგბი“, „გელიქ“, „სოქერ“ („ევროპული“ ფეხბურთი), „ოსთრეილიენ რულზ“ („ავსტრალიური წესები“) და სრულიად სხვა ფუძიდან და სხვა აზრით ნაწარმოები „გრიდაიონ“ („ცხაურა“, იგივე ამერიკული ფეხბურთი, ცხავისებრი სათამაშო მოედნის გამო). გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ თუმცაღა ინგლისურში სიტყვათწარმოქმნის ბევრად უფრო არამკაცრი წესები მოქმედებს, ვიდრე ქართულში, მაინც არავის მოსვლია აზრად შემოეღო „რაგბბოლი“, „ამერბოლი“, „ოსთრელბოლი“, „გელბოლი“ თუ „ევრობოლი“, რამეთუ გეოგრაფიული სახელისა და რაიმე საგნის აღნიშვნელი სიტყვის შეერთება, ეტყობა, თავიდანვე აბსურდად აღიქმებოდა. ამასთან დაკავშირებით როგორ არ გავიხსენოთ „თბილრძე“, „თბილწყალკანალი“ თუ სიტყვათწარმოქმნის სხვა ჩვენებური „მარგალიტები“?!

ისე კი, თავის ქებაში ნუ ჩამოგვართმევთ, მაგრამ (თუ ქართულ სპორტში დედაენის მოვლა-პატრონობა ვინმეს აქვს საამაყო, ისევ და ისევ ჩვენ, ქართველ მორაგბეებს. საბუთების მოტანით თავს არ შეგაწყენთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რაგბის ცნობილ ნაირსახეობას, ინგლისურად შემოკლებით „სევენს“, სრულად კი „სევენ ე საიდ გეიმ“ რომ ჰქვია, ქართულად მოხდენილი და ზუსტი შესატყვისი — „შვიდკაცა“ დავუძებნეთ. და თუ რაგბის სახელი ქართულად მაინცდამაინც „ბურთს“ უნდა შეიცავდეს, ათასჯერ უფრო უპრიანი იქნებოდა, თამაშისათვის „ელლობურთი“ გვეწოდებინა, რაკიღა ეს სიტყვა რაგბის არსს ზედმიწევნით ასახავს. ალბათ ასეც მოვიქცეოდით, ელლობურთად წოდებული ეროვნული თამაში რომ არ გვქონოდა (თუმცაკი საკითხავია, მაშინ საიდანღა გვექნებოდა მისი სახელი?). ამიტომაც, ჩვენი აზრით, ხელოვნურად შეკოწიწებულ „რაგბურთს“ ისევ მოკლე და გაყენებული „რაგბი“ სჯობს. მართალია, დასახელებიდან არ ჩანს, რაგბი ბურთაობის სახეობა რომაა, მაგრამ ამ მხრივ ქართული არ იქნება გამონაკლისი ენათა მსოფლიო ოჯახიდან.

დავით კილასონია,
საქართველოს რაგბის კავშირის მდივანი.

კოოპერატორები — საბავშვო ბაღში

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის მთავარი გასართობი, ცხადია, სხვადასხვა მოძრავი თამაშებია. ამით გარკვეულად მათ სიჯანსაღესაც ეყრება საფუძველი, ამიტომ ფიზკულტურის ანბანის სწავლა ნამდვილი ანბანის სწავლაზე ადრე უნდა დაიწყოს, ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მივაჩვიოთ სახალისო ფიზიკურ ვარჯიშს, რათა შემდგომში იგი მოთხოვნილებად გადაექცეს.

თბილისის №1 საბავშვო ბაღში (იგი სოხუმის ქუჩაზე მდებარეობს), ფიზკულტურას საკმაო ყურადღება ეთმობა, ტარდება მეცადინეობები არსებული პროგრამის მიხედვით. ყველაზე პატარები დღეში 15 წუთს ვარჯიშობენ, საშუალო ასაკისა და უფროსი ბავშვები — შესაბამისად 20-25 წუთს. ამის თაობაზე თავისი აზრი გაგვაცნო ბაღის გამგემ, ქალბატონმა ეთერ გრძელიშვილმა:

— როგორც სხვა საგნებში, ფიზკულტურაშიც აუცილებელია, რომ ბავშვებს სპეციალისტი ავარჯიშებდეს და არა აღმზრდელი, როგორც ახლა ჩვენთან ხდება. ყველაფერს (ხატვას, ძერწვას, ფიზკულტურას და ასე შემდეგ) კარგი სპეციალისტები სჭირდება, თუნდაც მათ ბავშვებთან უხდებოდეთ მუშაობა.

გვაქვს პატარა დარბაზი, ტანვარჯიშის კედელი, ბურთები, სხვა სათამაშოები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მაინც არ არის საკმარისი, ბავშვი უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს, ამისთვის კი მეტი საშუალებებია საჭირო. თუმცა ერთი იმედი გვაქვს: იანვრიდან ჩვენთან მუშაობას დაიწყებენ კოოპერატივ „მართვეს“ ფიზკულტურის სპეციალისტები. ეს კოოპერატივიც განათლების სამინისტროს ეკუთვნის. ეკონომიკურად ხელგამართული არ ვართ, მაგრამ ბავშვებისათვის უნდა გამოვნახოთ ის თანხა (თვეში 5 მანეთი უნდა გადავიხადოთ თითოეულ ბავშვზე), სპეციალისტებმა რომ ჩვენთან იმუშაონ. მშობლებიც, ვისაც ვესაუბრეთ, ამ გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდნენ...

შემდეგ ვეწვიეთ პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების №90 საბავშვო ბაღს, რომელიც იქვე, ბათუმის ქუჩაზე მდებარეობს. აქაც დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, თუმცა განსხვავებაც არის, რა თქმა უნდა: ფიზკულტურაში მეცადინეობა მხოლოდ საბჭერ აქვთ, სპორტული ინვენტარიც მეტად აკლიათ, ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე საბავშვო ბაღს ძალზე პატარა ეზო აკრავს, რაც აძნელებს ბავშვების სუფთა ჰაერზე გამოყვანას და თამაშს. სამაგიეროდ, როგორც გვითხრეს, ახალი წლიდან საბავშვო ბაღში იქნება ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი და ვარჯიშს უკვე სპეციალისტი ჩაატარებს.

განათლების სამინისტროს თბილისის № 74 საბავშვო ბაღი, რომელიც წერეთლის გამზირზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარეობს, ძალზე მყუდროა და კარგად მოწყობილი. იქ სავარჯიშოდაც უკეთესი პირობებია, ეზოშიც ჩადიან, იქვე ახლოს მდებარეობს მარტივი ტიპის მოედანიც, სადაც, ჩვეულებრივ, კარგ ამინდში მოჰყავთ ბავშვები. დილის გამამხნევებელ ვარჯიშებსაც ყოველდღიურად ატარებენ, მაგრამ თვითონ ფიზკულტურის მეცადინეობები ჯერაში ორჯერ თუ იმართება. აქაც, იგივე მიზეზით, სპეციალისტი არ ჰყავთ.

საბავშვო ბაღის გამგემ ნანა კასელიოვამ გვითხრა, ისეთ სპეციალისტს ვეძიებ, ვისაც ბავშვები ეყვარება და რაც მთავარია, გულიანად იმუშავებს, ბავშვებს ფიზკულტურისა და სპორტის ანბანს შეასწავლისო. იქნებ გამოჩნდეს მსურველი და მიაკითხოს №74 საბავშვო ბაღის გამგეს!?

ბია ბურდული.

წლის საუკეთესო ფეხბურთელები

წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენას ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა მუდამ დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს.

1989 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მოწყობილ „ფუტბოლ-ხოკეის“ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 162 ფეხბურთის მიმომხილველმა. თავიანთ ანკეტებში მათ მოიხსენიეს უმაღლესი ლიგის 10 გუნდის 28 ფეხბურთელი. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება შარშან მოსკოვის „სპარტაკმა“ მოიპოვა, კონკურსში ყველაზე მეტი — 8 ფეხბურთელი დაასახელეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ წევრთაგან, სპარტაკელებს გაუსწრეს კიეველებმაც, რომელთა 5 ფეხბურთელია მოხსენიებული რეფერენდუმის ანკეტებში. ამ სიაში მოხვდა სულ 4 სპარტაკელი მოთამაშე, 3 — მოსკოვის „დინამოს“, 2-2 — თბილისის „დინამოს“ და ვილნიუსის „უალგირისიდან“, ხოლო ხარკოვის „მეტალისტიდან“, მინსკის „დინამოდან“, ოდესის „ჩერნომორეციდან“ და ვოლგოგრადის „როტორიდან“ აღნიშნულია თითო ფეხბურთელი. საინტერესოა, რომ სიაში ნახსენები არ არის მოსკოვის „ტორპედოს“ არც ერთი წევრი, არაა, აგრეთვე, ერევნის „არარატის“, დონეცკის „შახტიორის“, დუშანბეს „პამირის“, ლენინგრადის „ზენიტისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ არც ერთი მოთამაშე.

კონკურსში გაიმარჯვა და 1989 წლის საფეხბურთო სეზონის პირველი ლაურეატი გახდა მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი და კაპიტანი, 30 წლის **ფედორ ჩერენკოვი**, რომელმაც 345 ქულა დააგროვა (90 პირველი ადგილი, 32 — მეორე და 11 — მესამე ადგილი).

მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე **სტანისლავ ჩერჩესოვი** — 172 ქულა (12 პირველი ადგილი, 48 — მეორე, 40 — მესამე).

მესამე ადგილზეა კიევის დინამოელი **ვლადიმერ გესონოვი**— 164 ქულა (29 პირველი, 27 — მეორე, 23 — მესამე ადგილი).

პირველ ხუთეულში მოხვდნენ, აგრეთვე, კიევის დინამოელი ოლეგ პროტასოვი და დნეპროპეტროვსკელი ნიკოლოზ კუდრიცკი.

ჟურნალისტთა მიერ დასახელებული არიან, აგრეთვე, გ. ლიტოვჩენკო („დინამო“, კიევი), ა. მიხაილიჩენკო („დინამო“, კიევი), ვ. გოროდოვი („დნეპრი“), ი. დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი), ს. როდიონოვი („სპარტაკი“), ო. კუზნეცოვი („დინამო“, კიევი), ვ. ივანაუსკასი („უალგირისი“), ვ. ლიუტი („დნეპრი“), ვ. კლიმანოვი („როტორი“), ვ. ბაგმუტი („დნეპრი“), ვ. ტიშჩენკო („დნეპრი“), ო. გაბელია („დინამო“, თბილისი), ი. კოლივანოვი („დინამო“, მოსკოვი), ს. კირიაკოვი („დინამო“, მოსკოვი), ა. ჩერედნიკი („დნეპრი“), გ. აჯოევი („მეტალისტი“), გ. კოდრატიევი („ჩერნომორეცი“), ე. შახოვი („დნეპრი“), ე. სონი („დნეპრი“), ვ. შმაროვი („სპარტაკი“), ვ. მარტინკენასი („უალგირისი“), ს. გოცმანოვი („დინამო“, მინსკი), კ. ცხადაძე („დინამო“, თბილისი).

საინტერესოა ვის მისცეს თავიანთი ხმები საქართველოს ჟურნალისტებმა:

გ. აკოფოვი („ფუტბოლ-ხოკეი“, თბილისი) — ჩერენკოვი, ბესონოვი, ჩერჩესოვი.

ე. ბერიშვილი („კომუნისტი“, თბილისი) — ჩერენკოვი, მიხაილიჩენკო, ჩერჩესოვი.

მ. ვიგნანსკი („ვეჩერნი ტბილისი“) — ჩერენკოვი, ბესონოვი, გაბელია.

ჯ. ენუქიძე (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია) — ჩერენკოვი, ჩერჩესოვი, ლიტოვჩენკო.

ზ. კახაძე („ლელო“, თბილისი)— ჩერენკოვი, მიხაილიჩენკო, როდიონოვი.

რ. ქორქია („ლელო“, თბილისი) — ჩერენკოვი, ჩერჩესოვი, ო. კუზნეცოვი.

კ. მახარაძე (სახტელერადიო, თბილისი) — ჩერენკოვი, ჩერჩესოვი, ცხადაძე.

დ. მჭედლიძე („ზარია ვოსტოკა“, თბილისი) — გოროდოვი, ლიტოვჩენკო, ჩერენკოვი.

თ. ხულხანიშვილი (სახტელერადიო, თბილისი) — მიხაილიჩენკო, ჩერჩესოვი, პროტასოვი.

ზ. ტაბაგაძე („ფუტბოლ-ხოკეი“, თბილისი) — ჩერენკოვი, ბესონოვი, ჩერჩესოვი.

შ. შალოლაშვილი (საქინფორმი, საკდესი, თბილისი) — ლიტოვჩენკო, ჩერენკოვი, ჩერჩესოვი.

სსრ კავშირის წლის საუკეთესო ფეხბურთელის კონკურსი დაწესებულია 1964 წლიდან. გთავაზობთ ყველა წლის საუკეთესო ფეხბურთელს:

1964 წ. — **ვ. ვორონინი** („ტორპედო“, მ.), 1965 წ. — ვ. ვორონინი („ტორპედო“, მ.), 1966 წ. — ა. ბიბა („დინამო“, კ.), 1967 წ. — ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მ.), 1968 წ. — ე. სტრელცოვი („ტორპედო“, მ), 1969 წ. — ვ. ძუნტინი („დინამო“, კ.), 1970 წ. — ა. შესტერნიოვი (ცსკა), 1971 წ. — ე. რუდაკოვი („დინამო“, კ.), 1972 წ. — ე. ლოგჩევი („სპარტაკი“, მ.), 1973 წ. — ო. ბლოხინი („დინამო“, კ.), 1974 წ. — ო. ბლოხინი („დინამო“, კ), 1975 წ. — ო. ბლოხინი („დინამო“, კ), 1976 წ. — ვ. ასტაპოვსკი (ცსკა), 1977 წ. — დ. ყიფიანი („დინამო“, თბ), 1978 წ. — რ. შენგელია („დინამო“, თბ). 1979 წ. — ვ. სტარუხინი („შახტიორი“), 1980 წ. — ა. ჩივაძე („დინამო“, თბ.), 1981 წ. — რ. შენგელია („დინამო“, თბ), 1982 წ.— რ. დასაევი („სპარტაკი“ მ.), 1983 წ. — ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“, მ), 1984 წ. — გ. ლიტოვჩენკო („დნეპრი“), 1985 წ. — ა. დემიანენკო („დინამო“, კ), 1986 წ. — ა. ზავაროვი („დინამო“, კ.), 1987 წ. — ო. პროტასოვი („დნეპრი“), 1988 წ. — ა. მიხაილიჩენკო („დინამო“, კ.).

როგორც ხედავთ, საქართველოს ფეხბურთელები ოთხჯერ ფლობდნენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას.

სლალომი... საბაგიროს გარეშე

„მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე

ბაკურიანში კვლავ მოუგვარებელია პრობლემები, რომელთა გადაჭრა, ჩვენი აზრით, ხელოვნურად ჭიანურდება.

სპორტული ზამთრის ახალი სეზონი ბაკურიანში ამჯერადაც გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ტრადიციული პრიზის გათამაშებით დაიწყო. 25-მდე მონაწილე ქალი და ვაჟი გამოვიდა სტარტზე, რომელიც კოტტა-II-ზე 1950 მეტრ სიმაღლეზე იყო დანიშნული (ტრასის სიგრძე 1000 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 250 მეტრი, 40 კარი).

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ორივე დღე გიგანტურ სლალომს დაეთმო. ქალთა შორის ორივე დღეს გაიმარჯვა თბილისელმა თამრიკო მეგრელიშვილმა — შესაბამისად 1 წუთი, 21,80 წამი და 1.24,40. ბაკურიანელი ლელა ოგანეზოვა ჯერ მეორე იყო (1.23,23), მერე —მესამე (1.27,72). მისმა თანაგუნდელმა ნონა დიაკონაშვილმა პირველ დღეს მესამე შედეგი აჩვენა (1.24, 22), მეორე დღეს მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ანი ჩახავა (1.27,42).

ვაჟებში პირველ დღეს პირველობდა თბილისელი ლადო ანთაძე — 1.15,26, მეორე დღეს — ბაკურიანელი გიორგი გავა — 1.17,20. ნიკო კოზანაშვილმა (ბაკურიანი) შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები მოიპოვა (1.15,89 და 1.21,79). თბილისელმა გურამ ასათიანმა — მესამე და მეორე (1.16,96 და 1.18,25).

აი, რა გვითხრა ამ პირველი სტარტის შესახებ საქართველოს სპორტსახკომის ზამთრის სახეობათა განყოფილების უფროსმა **ფერბენკს ნავერიანმა:**

— კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ საბაგიო გზები და ტრასები ერთი ორგანიზაციის ხელში უნდა იყოს და ალბათ სპორტული ტრასები და მისი მომსახურე ბაგირ-გზები უნდა ეკუთვნოდეს სპორტულ ორგანიზაციას. შეჯიბრების ორგანიზატორებს აქ ღონისძიების ჩატარება მოუხდათ... ბაგირ-გზების გამოუყენებლად. არ მუშაობდა „ტატრაპომა“. იმის გამო, რომ ახალი თოკი არ იტკეპნება, იგი ქარს მიაქვს, ფერდობების ზედა ნაწილი, ფაქტიურად, შიშველია. სპეციალისტების საერთო აზრია, რომ ჩეხოსლოვაკიური „ტატრაპომა“ თავისი ტრასებით გადაეცეს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლას, რომელიც სწორედ ამ ბაგირ-გზის ქვედა სადგურთან მდებარეობს. ეს იქნება ძალზე სწორი გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ ამ სკოლასთან ფუნქციონირებს რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის ფილიალი. ალბათ დროა, ვიწრო უწყებრივი ინტერესები დავუმორჩილოთ დიდი ქართული სპორტის სამსახურს, მის მომავალს.

სამწუხაროდ, ზამთრის ამ ახალი სპორტული სეზონის პირველ სტარტზე ვერ გამოვიდნენ რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი სამთომოთილამურენი ტატა აბრამიშვილი და სოფიკო პეტროსიანი. პირველი — ავადმყოფობის გამო, მეორე კი საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობს ალმა-ათასა და ჩიმგანში. ეს პირველი შეჯიბრება იყო ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, აგრეთვე, რესპუბლიკის ნაკრების ერთ-ერთი ძირითადი წევრისათვის ლელა ოგანეზოვასათვის. სწორედ ამის გამო ჩვენი სამთომოთხილამურე გოგონების მონაწილეობა ზამთრის საკავშირო სპარტაკიადაში ერთობ სათუოა. აშასთანავე, საქართველოს ვაჟთა ძირითადი ნაკრები ამ დღეებში საკავშირო შეჯიბრებებში გამოდიოდა. უნდა ითქვას, რომ ურიგოდ არ გამოსულან ალმა-ათაში ისმაილ კაჩკაროვი (მეხუთე და მეექვსე ადგილები მოიპოვა სწრაფდაშვებაში), გია ორჯონიკიძე (მეთვრამეტე იყო სუპერგიგანტში ასამდე მონაწილეს შორის), ჭაბუკთა შორის მეორე ადგილზე გავიდა გიგანტურ სლალომში ავთო ჯანგობეგოვი. იმედი გვაქვს მესტიელების მალნაზ უდესიანის, მამუკა დვალიშვილის, გოჩა ჭელიძის, ბაკურიანელების ლევან აბრამიშვილის (მეორე იყო ალმა-ათაში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაზე გიგანტურ სლალომში), გელა კოზანაშვილისა და ზურაბ ჯიჩოევის.

„ლელოს“ კორ.

„ციმბირის თასი“

ყრასნოიარსკში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში — „ციმბირის თასი“ 120 ნორჩი ჩოგბურთელი გამოვიდა, მათ შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა — ჭაბუკთა სპორტული სკოლის (სპორტსაზოგადოება „მართვე“) აღსაზრდელები. ქართველმა ჩოგბურთელებმა საუკეთესოდ წარმართეს ტურნირი და „ციმბირის თასი“ მოიპოვეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ, 11 წლის ირაკლი კუნჭულიამ, 29-ე სკოლის მოსწავლემ, 13 წლის ალექსანდრე ბურჭულაძემ (ორივემ პირველი ადგილი მოიპოვა თავთავიანთ ასაკში), აგრეთვე 28-ე სკოლის მოსწავლემ, 13 წლის ირინე ბახტაძემ და 134-ე სკოლის მოსწავლემ, 11 წლის ნინო ნალბანდიანმა (ორივეს — მეორე ადგილი).

• • •

სურათზე: თბილისის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი — „ციმბირის თასის“ მფლობელი (მწვრთნელი დავით ნოზაძე).

ზვერევა თუ მაკ კილანი?

ბრისბენი. ავსტრალიის ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში ნატალია ზვერევამ დაამარცხა ჰოლანდიელი ბრენდ შულეი (6:4, 6:1) და ფინალში გავიდა.

მეორე ფინალისტი გახდა შეჯიბრების მასპინძელი რეჩელ მაკ კილანი, რომელმაც ნახევარფინალში ავსტრიელ იუდიტ ვეისნერს აჯობა — 6:3, 7:6.

კროსვორდი

საფეხბურთო თემაზე — 1930 წლიდან, დღემდე



თარაზულად:

1. გფრ-ის ნაკრების წევრი 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში. 2. ბრაზილიის ნაკრების წევრი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 4. ურუგვაის ნაკრების წევრი 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 5. II მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ფრანგი ფეხბურთელი. 6. I მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ჩილელი ფეხბურთელი. 7. ბოლივიელი ფეხბურთელი 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 10. I მსოფლიო ჩემპიონატის საფრანგეთ-მექსიკის მატჩის მთავარი მსაჯი. 11. VII მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებული გუნდის თავდამსხმელი. 12 ესპანეთის ნაკრების წევრი 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 14. უნგრელი ფეხბურთელი XI მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 16. ურუგვაის ნაკრების წევრი 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 18. ჩილელი ფეხბურთელი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 19. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების წევრი. 20. XI მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ავსტრიელი ფეხბურთელი. 21. XI მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრიის ნაკრების წევრი. 22. XI მსოფლიო ჩემპიონატზე პერუს ნაკრები გუნდის წევრი. 23. ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელი 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 24. პოლონეთის ნაკრების წევრი XI მსოფლიო ჩემპიონატზე. 27. იუგოსლავიის ნაკრების წევრი 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 28. ჰოლანდიის ნაკრების წევრი X მსოფლიო ჩემპიონატზე. 31. ცნობილი დასავლეთგერმანელი მეკარე XII და XIII მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორი. 32. ქართველი ფეხბურთელი IX მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 33. ირანის ნაკრების წევრი XI მსოფლიო ჩემპიონატზე. 34. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი. 35. შოტლანდიის ნაკრების წევრი X მსოფლიო ჩემპიონატზე. 36. ბელგიის ნაკრების წევრი IX მსოფლიო ჩემპიონატზე. 37. ტუნისელი ფეხბურთელი XI მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 38. საფრანგეთის ნაკრების მეკარე 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

შვეულად:

1. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი I მსოფლიო ჩემპიონატზე. 3. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გუნდი ფეხბურთში. 8. ურუგვაის ნაკრების წევრი VIII მსოფლიო ჩემპიონატზე. 9. VIII მსოფლიო ჩემპიონატის ჩემპიონი გუნდის თავდამსხმელი. 12. ურუგვაის ნაკრების წევრი X მსოფლიო ჩემპიონატზე. 13. ცნობილი დასავლეთგერმანელი ნახევარმცველი 3 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 14. ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი 4 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. 15. ჰოლანდიის ნაკრების წევრი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 16. არგენტინის ნაკრების სათადარიგო მეკარე XI მსოფლიო ჩემპიონატზე. 17. აშშ-ის ნაკრების წევრი I მსოფლიო ჩემპიონატზე. 25. საფრანგეთის ნაკრების წევრი II მსოფლიო ჩემპიონატზე. 26. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ირანელი ფეხბურთელი. 29. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი. 30. არგენტინის ნაკრების მე-2 სათადარიგო მეკარე XI მსოფლიო ჩემპიონატზე.

შეადგინა **თენგიზ კუჭავამ** (წყალტუბო).

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სეოკ-ის ფონდში.



„ჭადრაკი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი სახეობაა“

გარი კასპაროვის ინტერვიუ ჟურნალ „კლეიბოის“

● თქვენ ამბობთ, რომ მებრძოლი ხართ უკვე ექვსი წლის ასაკიდან, მას შემდეგ, რაც სერიოზულად დაინწყეთ ჭადრაკის თამაში. ეს ბავშვისათვის ძალზე უჩვეულო რამ არის. არსებითად თუ ვიმსჯელებთ, თქვენ უარი უნდა გეთქვათ თქვენს ბავშვობაზე, ასე ხომ არ არის?

— დიახ, ნორმალური ბავშვობა არა მქონია. მამა გარდამეცვალა, როცა 7 წლისა ვიყავი. ასე რომ, დამოუკიდებლად ვიზრდებოდი. ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ცხოვრებაში თავისთავად არაფერი მოდის. ყველაფერში საფასური უნდა გადაიხადო, თუკი გინდათ ძლიერი მოჭადრაკე გახდეთ. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხართ, რაღაც უნდა დათმოთ, რაღაცაზე უარი უნდა თქვათ. ეს მაშინ, როდესაც 14 ან 15 წლის ასაკში თქვენი ერთადერთი სიმდიდრე ბავშვობაა.

● ახლა თქვენ სხვა სიმდიდრე გაქვთ. როგორც პროფესიონალი, რამდენს იღებთ ერთი პარტიისათვის? ხშებს თუ დავუჯერებთ, ეს თანხა 10000 დოლარს შეადგენს.

— კონკრეტული თანხა არ მინდა დავასახელო, იგი საკმაოდ დიდია.

● კი მაგრამ, რამდენი შეიძლება მიიღოს მსოფლიო ჩემპიონმა წლის განმავლობაში?

— საბჭოთა კავშირში ყველაფერი გართულებულია, რადგან ხელისუფლებს პროფესიონალიზმთან შეგუება ძალიან უჭირთ. წარმოვიდგინოთ, რომ სადმე სხვა ადგილას ვცხოვრობ და შემიძლია გავაკეთო ყველაფერი, რასაც მოვისურვებ. ჩემს ენერგიას იქითკენ თუ მივმართავ, რომ ფული გავაკეთო, ყველა შესაძლებლობას თუ გამოვიყენებ, შემიძლია დაახლოებით 400000-500000 დოლარი მივიღო. მსოფლიო პირველობაზე წლევანდელი მატჩის თანხა გაცილებით უფრო მეტია. მაგალითად, 1990 წლის მატჩის საპრიზო ფონდი დაახლოებით 3 მილიონ დოლარს შეადგენს, აქედან 1,8 მილიონი დოლარი გამარჯვებულს გადაეცემა, ე. ი. მას მე მივიღებ.

● გარდა ამისა, რეკლამაც ხომ არსებობს?

— დიახ, მე საჭადრაკო კომპიუტერების, უალკოჰოლო სასმელების რეკლამასაც ვეწევი. გარდა ამისა, არ გამოვრიცხავ სხვა წინადადებების მიღებასაც. მე შემიძლია გავითვალისწინო ისინი, მოვუსმინო წინადადებათა ავტორებს.

● თქვენ თითქმის ბიზნესმენი ბანდით. ჭადრაკის მესვეურები გაოგნებულნი იყვნენ, როცა თქვენ დაბმბარედ მენეჯერი აიყვანეთ.

— არა, ჭადრაკის მესვეურები კი არა, საბჭოთა აპარატი, ჭადრაკის საკითხებს რომ განაგებს. მას უნდა ყველაფერს თვითონ გაუწიოს კონტროლი, მე კი ამ კონტროლს დავუსხლტი. ჩემი მენეჯერი გახლავთ ენდრიუ პეიჯი, ინგლისელი, რომელიც ოდესღაც მსახიობი იყო და პროფესიონალი ავტომბრძოლიც. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ენდრიუ ჩემს საზღვარგარეთულ საქმეებს უძღვება. რა თქმა უნდა, საბჭოთა საჭადრაკო მაფიას ეს არ მოსწონს. მაგრამ მე შემოსავალს რევოლუციურად ვუდგები: მიმაჩნია, რომ პროფესიონალ სპორტსმენს საშუალება უნდა ჰქონდეს თვით დაიტოვოს თავისი შემოსავალი, არ გადასცეს რომელიმე ფედერაციასა თუ კომიტეტს. მე პირველი ვიყავი, ვინც ეს გააკეთა. ახლა სხვა საბჭოთა სპორტსმენებიც იწყებენ ჩემს მიბაძვას. აქამდე ისინი ყველაფერს სახელმწიფოს აძლევდნენ და სანაცვლოდ მცირე სტიპენდიას იღებდნენ.

● თქვენ საკმაოდ ბევრს მოგზაურობთ. როდესმე აზრად ხომ არ მოგსვლიათ, სახლში ალარ დაბრუნებულიყავით? საბჭოთა კავშირი დაგეტოვებინათ?

— არა. თავის ხალხთან ერთად ცხოვრებას ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, მე შემეძლო ეს გამეკეთებინა, ჩემი ცხოვრება გაცილებით უფრო მარტივი იქნებოდა. თანაც, მე აბსოლუტური კოსმოპოლიტი ვარ, ამიტომაც შემიძლია, სადაც გნებავთ იქ ვიცხოვრო.

● ხანდახან თქვენ განცხადებებს აკეთებთ არა როგორც დიდოსტატი, არამედ როგორც პოლიტიკოსი ან სამხედრო ხელმძღვანელი. თქვენ აღტაცებული ხართ ასეთი ადამიანებით?

— მე აღტაცებული ვარ ისეთი ადამიანებით, რომლებიც რეალურ გარდაქმნებს ახორციელებენ, ზოგჯერ მთელი ხალხებისათვისაც კი. ყველაზე კარგი მაგალითი, ეჭვგარეშეა, იულიუს ცეზარია. ყველამ იცის, რომ რომს არ შეეძლო რესპუბლიკის გარეშე ცხოვრება. და აი, ერთმა კაცმა, იულიუს ცეზარმა ყველაფერი შეცვალა. ანდა ყურადღება მივაპყროთ იესო ქრისტეს — უბრალოდ ისტორიულ იესო ქრისტეს. ძნელი დასაჯერებელია, თუ როგორ იმოქმედა მან ადამიანების აზროვნებაზე, ფაქტი ფაქტად რჩება — ორი ათასი წლის შემდეგაც კი აღტაცებულნი ვართ მისი იდეებით. ავიღოთ მარტინ ლუთერი, თუნდაც ლენინი. იმის მიუხედავად, თანახმა ხართ თუ არა თქვენ იმისი, რაც მათ გააკეთეს, ესენი ის ადამიანები არიან, ვინც გარდაქმნა პირადად განახორციელეს.

● ნაპოლეონი? კინი თქვენ ჭადრაკის ნაპოლეონს გიწოდებთ.

— ო, მე ძალიან ვამაყობ ამ შედარებით. ნაპოლეონმა ბევრი რამ შეცვალა, დიდი სამუშაო შეასრულა.

● მამაკაცის რა ღირსებებს აფასებთ?

— ძალას, ნებისმიერ ძალას. უპირატესობას ვანიჭებ გონებრივ ძალას, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ძლიერი ხასიათი. გარდა ამისა, თქვენ სისტემატურად უნდა შეგეძლოთ თქვენი ინტერესებისათვის ბრძოლა. თუკი დასახული გაქვთ მიზანი, მისთვის საბრძოლველად მზად უნდა იყოთ.

● ქალის რა ღირსებებს აფასებთ?

— ეს მეტად სახიფათო კითხვაა. რაც არ უნდა უპასუხოს კაცმა, მაინც მტრებს შეიძენ. ჩემი აზრით, ქალისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქმრისათვის მხარში ამოდგომას, დახმარების გაწევას, როცა იგი სიძნელეებს აწყდება. მაგრამ მან, ამავე დროს, დამოუკიდებლობა უნდა შეინარჩუნოს. პარადოქსია, მაგრამ თუ ამას არ გააკეთებს, მამაკაცს რეალურად ვერ დაეხმარება.

● რას იტყვით მოჭადრაკე ქალებზე?

— მე ადრეც ვთქვი, რომ არსებობს ნამდვილი ჭადრაკი და ქალთა ჭადრაკი. ზოგს არ სიამოვნებს ამის მოსმენა, მაგრამ ჭადრაკი ქალების საქმე არ არის. ხომ გესმით, ჭადრაკი ბრძოლაა, დიდი ბრძოლა. ეს ქალებს არ ძალუძთ. მაპატიეთ, მაგრამ ქალი უსუსურია, როცა მას წინ მამაკაცი აღუდგება. ამაში მარტივი ლოგიკაა. ეს გახლავთ მებრძოლის, პროფესიონალი მებრძოლის ლოგიკა. ქალები კი სუსტი მებრძოლები არიან. აქ უნდა გავითვალისწინოთ ჭადრაკში შემოქმედებითი ასპექტიც — თქვენ მუდმივად ახალი იდეები უნდა ჩამოაყალიბოთ. ეს ქალებისთვის მეტად ძნელია. ჭადრაკი სპორტს, ხელოვნებასა და მეცნიერებას მოიცავს. ყველა ამ სფეროში მამაკაცების უპირატესობა აშკარაა. თუკი ლიტერატურის, მუსიკის ან ხელოვნების საკითხებს გავითვალისწინებთ, შედეგები, როგორც მოგეხსენებათ, სრულიად ნათელია. შესაძლოა, პასუხი გენებში უნდა ვეძებოთ.

● გესმით თუ არა, რომ სქესისა და ქალთა საკითხში წინასწარ აკეიატებულ აზრს გამოთქვამთ? დასავლეთში შეეძლოთ ამით აღშფოთებულიყვნენ.

— დიახ, მაგრამ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ქალებს შეუძლიათ ბევრი რამ კაცებზე უფრო აკეთონ, მაგრამ არასწორად მიმაჩნია, ისინი ყველაფერში გავუთანაბროთ მამაკაცებს. კაცები და ქალები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

● ასეთი შეხედულებების მიუხედავად, თქვენი მოგზაურობების დროს გრძნობთ თუ არა, რომ ქალებში აღტაცებას იწვევთ? ქალებს თქვენსკენ ჩემპიონობა ხომ არ იზიდავთ?

— დავანებოთ თავი ამ ჩემპიონობასა და არაჩემპიონობას. ბოლოს და ბოლოს, ამ წოდების გარეშეც მაინცდამაინც ცუდად როდი გამოვიყურები. თუმცა, შეიძლება ეს წოდებაც რაღაც უპირატესობას მანიჭებს, ერთგვარ ტაქტიკურ უპირატესობას.

● სექსის საკითხებს საბჭოთა კავშირში კვლავ ფარისევლურად უყურებენ?

— სექსი ჩვენს ქვეყანაში დათრგუნვილია. იგი გამორიცხულია ცხოვრებიდან. ამისათვის რამდენიმე იარაღია გამოყენებული. უპირველეს ყოვლისა, ეს ეკონომიკური სანქციებია. როდესაც ყველანი ერთ ოთახში ცხოვრობენ, იქ აღარ არსებობს ინტიმური ცხოვრების პირობები. უნდა გავითვალისწინოთ იდეოლოგიური გავლენაც. თქვენ გეუბნებიან, რომ ქვეყნის წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას, რომლის გადასაწყვეტად თქვენ მუდმივად უნდა იშრომოთ, რომ თქვენ დღენიადაგ მხოლოდ საერთო ინტერესებზე უნდა იფიქროთ. ეს დიდი პრობლემაა.

● თქვენ ხომ არ გულისხმობთ, რომ ეს ადამიანების სქესობრივ ლტოლვაზე მოქმედებს?

— დიახ, ასე ვფიქრობ. ახლა მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ ჯერჯერობით ქვეყანა სექსის საკითხში ნაკლებ გათვითცნობიერებულია და ამ მხრივ დიდი მოთხოვნილება აქვს.

● არის თუ არა საბჭოთა კავშირში კარგი საშუალებები შობადობის კონტროლისათვის?

— არა. ისინი მხოლოდ მაღალი წრეებისათვის არსებობს და არა ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში ოფიციალური შეხედულებები ამ საკითხში დიდი სიმკაცრით ხასიათდება. საკვების დაბალი ხარისხიც ნეგატიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ქალისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იყოს მომხიბვლელი, მაგრამ როდესაც ბავშვობიდან ასეთ საშმელს გაჰმევენ...

● ხერთ თუ არა საბჭოთა ქალებს ლიბერალიზაცია? არ დაიღალნენ ისინი მხოლოდ სექსის ობიექტად ყოფნით?

— ეს თითქმის სრულიად იმის საწინააღმდეგოა, რაც დასავლეთში ხდება. აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ნატალიას ფოტოსურათის გამოჩენა „პლეიბოიში“ მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

● თქვენ, როგორც ჩანს, აშკარად არა ხართ გულგრილი საბჭოთა კავშირში თავისუფლების საკითხისადმი. რას იტყვით ჩინეთის შესახებ? შეიძლება, საბჭოთა კავშირში იგივე მოხდეს, რასაც ადგილი ჰქონდა ტიანანმინის მოედანზე?

— ის, რაც იქ მოხდა, საშინელებაა. საშინელება იქნებოდა ამაზე ფიქრიც კი საბჭოთა კავშირში, რადგანაც ეს სამოქალაქო ომის დაწყებას მოასწავებდა. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ცენტრალური მთავრობა ცალკეულ რაიონებთან, განაპირა მხარეებთან კონტროლს კარგავს. ნუ დაგავიწყდებათ: საბჭოთა კავშირში ბევრი ერი ცხოვრობს, მის შემადგენლობაში 15 რესპუბლიკა შედის. ქვეყანაში ძლიერი ეროვნული გრძნობები იღვიძებს. ჩვენ ძალზე სახიფათო ეტაპში შევდივართ. ყველაზე სერიოზული მაინც მთელ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის მოთხოვნილებაა. საბჭოთა კავშირში ცხოვრების დონე ბევრი ადამიანისათვის ისე დაბალია, რომ ისინი ამ შემთხვევაში არაფერს კარგავენ.

(დასასრული იქნება)

პროფესიული კრივის ოქმაბალი

ამაღ წლიან. — კრივის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს ჯონ სულივანს ინტერვიუ ჩამოართვა აპ-ს საგენტოს კორესპონდენტმა:

● როგორ ფიქრობთ, რა გზით განვითარდება მსოფლიოში პროფესიული კრივი?

— მომავალი პროფესიულ კრივში, ჩემი ღრმა რწმენით, საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მოკრივეებს ეკუთვნით.

● როდის შეიძლება ველოდოთ საბჭოთა მოკრივეების წარმატებას?

— ხუთი-ათი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში უსათუოდ რომელიმე საბჭოთა სპორტსმენი გახდება.

● რატომ ფიქრობთ ასე?

ამ ქვეყანაში ბევრი პერსპექტიული მოკრივეა, განსაკუთრებით მძიმე წონის მოკრივეთა შორის. მაგრამ მათ აკლიათ პროფესიონალის ჩვევები და გამოცდილება. ამ ჩვევების შეძენას და სტილის შეცვლას 5-10 წელი სავსებით ეყოფა.

● თქვენი ოპტიმიზმი გასაგებია, მაგრამ რას ეშყარება იგი?

— პირველ ყოვლისა იმას, რომ საბჭოთა კავშირი კრივის მსოფლიო საბჭოს წევრი გახდა და ამით ფართო გზა გაუხსნა პროფესიულ კრივს.

● ნუთუ დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონები ასე ადვილად დათმობენ სარბიელს?

— რეი ლეონარდი, ტომი ჰერესი, რობერტო დურანი და სხვა აღიარებული ფავორიტები ერთიორი წლის შემდეგ წაგლენ რინგიდან. ასე რომ, საბჭოთა პროფესიონალებთან მათ არ მოუხდებათ შეხვედრა. მაიკ ტაისონის პრობლემა ცოტა სხვაგვარია, მაგრამ არა მგონია, რომ მან კიდევ ათ წელს გაძლოს რინგზე.

● რას იტყვით კუბის მოკრივეებზე?

— მათი ავტორიტეტი საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ არა მგონია, რომ ახლო მომავალში კუბელები პროფესიონალები გახდნენ. ეს რომ მოხდებოდეს, კუბაც საკმაოდ ბევრს მოიგებდა და პროფესიული კრივიც.

რედაქტორი

თ. ბაჩეჩილაძე.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „კუს ტბის“ დირექცია იტყობინება, რომ ა. წ. 15 იანვრიდან ხრული დატვირთვით იმუშავებს:

1. ათლეტიზმის, აგრეთვე ქალთა და მამაკაცთა საერთო გამაჯანსაღებელი ჯგუფები;

2. სამედიცინო აღდგენითი ცენტრი (შხაპი შარკო, კონტრასტული და ცირკულარული აბაზანები, ჰიდრომასაჟი, საუნა);

3. „ჰა-თჰა“ იოგას, „კარატესა“ და „უშუს“ ჯგუფები;

თუ თოვლი მოვიდა, იმუშავებს ციგების გამქირავებელი პუნქტი. კომპლექსის დირექცია უზრუნველყოფს სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებასაც.

მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ აბონემენტები როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. აბონემენტების მფლობელებს უფასოდ ემსახურებათ საბაგირო გზა.

კომპლექსი მუშაობს დილის 9 სთ-დან საღამოს 21 სთ-მდე.

ცნობებისათვის მიმართეთ კომპლექსის დირექციას, მისამართით: თბილისი, „კუს ტბა“, ელფონი: 23-08-73 ან 22-78-81.

დირექცია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 1, 2, 3.

ლიდერობს „იუგოპლასტიკა“

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მესამე ტურის მატჩები. ამ ეტაპზე გათამაშებას, როგორც ცნობილია, რვა უძლიერესი კლუბი შემორჩა (კიევის „ბუდიველნიკი“ წინა ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას).

ესპანეთის „ბარსელონამ“ შინ საკმაოდ დიდი ანგარიშით დაამარცხა პოლონეთის ჩემპიონი „ლეხი“ 125:73.

გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა იუგოსლავიის „იუგოპლასტიკამ“ საფრანგეთის „ლიმოეს“ აჯობა — 103:83.

საბერძნეთის „არისმა“ შინ მოუგო იტალიის „ფილიპსს“ — 94:77.

ისრაელის „მაკაბიმ“ (თელ-ავივი) დაამარცხა ჰოლანდიის „კომოდორე დენ ჰელდერი“ — 97:83.

ამრიგად, მესამე ტურის შეხვედრები მასპინძლების უდავო უპირატესობით აღინიშნა. ტურნირის ერთპიროვნული ლიდერია „იუგოპლასტიკა“, რომელსაც ექვსი შესაძლებლიდან 6 ქულა აქვს.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა ლატარია „სპორტლოტოს“ 1989 წლის 53-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.873.435 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (63) მოგება 1141 მანეთია, ოთხისთვის (2.391) — 35, სამისთვის (41.802) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 41.805 ვარიანტი. 6-0, 5-1 (ქუთაისი), 4-67, 3-927.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 21.440.555 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (61) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (8.217) — 118, სამისთვის (273.559) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 552.360 ვარიანტი. 5-1 (თბილისი), 4-336, 3-6931.

53-ე და 44-53 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 20 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 53-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.174.259 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (68) მოგება 700 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2.049) — 46 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (21.347) — 15 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 163.899 ვარიანტი. 13-2 (ქუთაისი, თბილისი), 12—103, 11—1130.

53-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 20 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
მდივანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „ბერთვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთი კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08701.